საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“ მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (+995222) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	საჯარო მმართველობა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საჯარო მმართველობის ბაკალავრი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატის/ატესტატის ან მასთან გათანაბრებული დოკუმენტის მქონე საქართველოს მოქალაქეს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე. ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ან მობილობით საჯარო მმართველობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა მიღება/ჩარიცხვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და ბსუ-ში მოქმედი წესების შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობით და საერთაშორისო ხელშეკრულებებით განსაზღვრულ სხვა შემთხვევებში.
პროგრამის მოცულობა კრედიტებში	180 კრედიტი
პროგრამის მიზანი	მისცეს ფართო ცოდნა საჯარო მმართველობის როგორც სასწავლო და სამეცნიერო დარგის, ტერმინოლოგიის და ცნებების, საჯარო მმართველობის ძირითადი თეორიების, მართვის სკოლების, სისტემების და მოდელების შესახებ. დაეხმაროს საჯარო მმართველობის ორგანიზაციულ-მმართველობითი, საინფორმაციო-მეთოდური, საკომუნიკაციო, ორგანიზაციულ-მარეგულირებელი, აღმასრულებელ-ადმინისტრაციული საქმიანობების მიმართულებით საჭირო კომპეტენციების გაღრმავება-განმტკიცებაში. უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე მოამზადოს კვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, ცვალებად პროფესიულ გარემოსთან ადვილად ადაპტირებადი სპეციალისტი, რომელიც სასწავლო და სამუშაო გარემოში ეთიკის პრინციპების დაცვით და პასუხისმგებლობის აღებით წარმართავს განვითარებაზე ორიენტირებული საქმიანობას, რაც გამოიხატება არა მარტო საკუთარი, არამედ სხვების უწყვეტი პროფესიული განვითარების და სწავლის დაგეგმვისა და განხორციელების ხელშეწყობაში, და რომელიც ორიენტირებული იქნება შემდგომი უწყვეტი განათლების და პროფესიული განვითარების უზრუნველყოფაზე, რაც დაეხმარება რომ სწავლა გააგრძელოს მაგისტრატურაში ან/და დასაქმდეს შრომის ბაზარზე საჯარო და კერძო სექტორში.
სწავლის შედეგები	კრიტიკულად იაზრებს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ ძირითად თეორიებს, კონცეფციებს, მოდელებს, საჯარო მმართველობის დარგის მიღწევებს ორგანიზაცის მართვის, ფუნქციონირების, ხელმძღვანელობის, საჯარო ეთიკის და კვლევის პროცესის შესახებ ფართო ცოდნას. იყენებს საჯარო მმართველობის სტანდარტულ, ზოგიერთ უახლეს მეთოდს/თეორიას და საინფორმაციო ტექნოლოგიების რესურს ორგანიზაციის მართვის პროცესთან დაკავშირებული ადმინისტრაციული, პოლიტიკური, ეკონომიკური, სამართლებრივი და სოციალური სახის მონაცემების შეგროვების, განმარტების, შეფასების, ანალიზის და სათანადო დასკვნების ჩამოყალიბებისთვის; აკადემიური კეთილსინდისიერების, ეთიკის პრინციპების დაცვით, წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად ახორციელებს საჯარო მმართველობის სფეროსთან დაკავშირებულ საბაზისო კვლევას/პრაქტიკული ხასიათის პროექტს და არგუმენტირებულ დასკვნებს წარუდგენს დაინტერესებულ მხარეებს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით. იღებს და იზიარებს პასუხისმგებლობას პროფესიული უფლება-მოვალეობების სათანადოდ შესრულებისათვის და საკუთარი/სხვების შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენასა და განხორციელებაზე, ახდენს თვითორგანიზებას და განათლების მიღების უზრუნველყოფას/ხელსეწყობას.
შეფასების წესი	სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით: ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 7180 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა. (FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი
საკონტაქტო პირი/ები	პროგრამის ხელმძღვანელი: ირაკლი მანველიძე, პროფესორი ტელ: 505 05 19 76 e-mail: itakli.manvelidze@bau.edu.ge